ეთნოდიზაინი

საქმიანობის შესახებ

სოციალური მაღაზია „ეთნოდიზაინი“ წარმოადგენს კონცეპტუალურ მაღაზიას, რომელიც დაფუძნდა 2015 წელს. იგი თავს უყრის თბილისსა და რეგიონებში ტრადიციული რეწვის 250-მდე ოსტატის მიერ შექმნილ მაღალი ხარისხის ხელნაკეთ პროდუქციას. „ეთნოდიზაინის“ **სოციალური მისიაა** ტრადიციული რეწვის ოსტატების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება მათი პროდუქციის ხარისხისა და დიზაინის განვითარებითა და გაყიდვების ხელშეწყობით.

თბილისში მდებარე მაღაზია მალე გახდა ცნობილი და მიაღწია ფინანსურ მდგრადობას. შედეგად, 2017 წელს ვარძიის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალის ტერიტორიაზე გაიხსნა „ეთნოდიზაინის“ კიდევ ერთი სოციალური მაღაზია, ამან კი ტრადიციული რეწვის ოსტატების პროდუქციის გაყიდვები 3-ჯერ გაზარდა.

პროდუქცია / სერვისი

“ეთნოდიზაინში” წარმოდგენილი პროდუქცია აერთიანებს ქართულ ტრადიციულ და, ამავე დროს, ინოვაციურ ელემენტებს, რომლებიც მორგებულია თანამედროვე ბაზრის მოთხოვნებს. ადგილზე წარმოდგენილია მრავალფეროვანი და გემოვნებიანი პროდუქცია, კერძოდ:

- ქალისა და მამაკაცის აქსესუარები
- საყოფაცხოვრებო ნივთები
- სამკაული
- ინტერიერის აქსესუარები
- სამოსის აქსესუარები
- ტრადიციული იარაღი
- ხალიჩა/ფარდაგები
- სუვენირები

სოციალური შედეგები

- „ეთნოდიზაინის“ ჩართულობით შეიქმნა ნამუშევრების ახალი კოლექციები
- საქართველოს სხვადასხვა რეგიონში გაუმჯობესდა სახელოსნოების ინფრასტრუქტურა
- გაიზარდა ტრადიციული ხელსაქმის შესწავლით დაინტერესებული ახალგაზრდების რაოდენობა
- ეთნოდიზაინის მაღაზიებში პროდუქციის რეალიზაციის შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა ოსტატების ყოველთვიური შემოსავალი

www.crafts.ge

+995 598 722 937

info@crafts.ge

https://www.facebook.com/ethnodesignsocielshop/

გ. ახვლედიანის N23, თბილისი, საქართველო.